მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION



# ყოველწლიური ანგარიში 2021

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

# ყოველწლიური ანგარიში 2021

# მისალმება

**ძვირფასო კოლეგებო, პარტნიორებო, სტუდენტებო!**

პატივია წარმოგიდგინოთ მედიის განვითარების ფონდის 2021 წლის ანგარიში. ჩვენი გუნდი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საზიანო ინფორმაციის მიმართ საზოგადოების მედეგობის ზრდის ხელშეწყობაა, პანდემიის პირობებში განსაკუთრებული ძალისხმევით მუშაობდა. ჩვენ ყურადღებას ვუთმობდით არა მხოლოდ მტრული სახელმწიფოს ინფორმაციულ ოპერაციებს და ადგილობრივი მავნე აქტორების პოლიტიკურ დღის წესრიგს, არამედ  ინფოდემიასთან ბრძოლას, რათა ინფორმაციული დაბინძურებისგან დაგვეცვა საინფორმაციო ველი და ამით საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის შეგვეწყო ხელი.

ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების პროგრამასთან პარტნიორობით, ჩვენ არა მხოლოდ საზოგადოების უკეთ ინფორმირებას შევუწყვეთ ხელი, არამედ მედიის და სხვადასხვა აქტორების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე, რამაც დაშვებული შეცდომების თანაზომადი ფორმით შესწორების პროფესიული სტანდარტის დამკვიდრების პრაქტიკა წაახალისა.

მედიის განვითარების ფონდის მედიაწიგნიერების პროგრამა საზოგადოების მედეგობის ზრდაში ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, რადგან აქტიური სწავლების მიდგომა, რომელსაც ჩვენ ამ პროცესში ვიყენებთ, ითვალისწინებს მედიის მომხმარებლის აღჭურვას უნარებით, რაც მათ საზიანო ინფორმაციის გაფილტვრაში დაეხმარებათ. 2021 წელს ჩვენ საქართველოს არაერთი ქალაქი და სოფელი მოვიარეთ, რათა ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის ღია წყაროების ინსტრუმენტებით გადამოწმების უნარების განვითარებისთვის შეგვეწყო ხელი.



ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული პროექტი, რომელსაც დოიჩე ველე აკადამიასთან ერთად მედიაწიგნიერების მიმართულებით უკვე მეექვსე წელია ვახორციელებთ, ჩვენი ორგანიზაციისთვის განსაკუთრებულია. ამ პროგრამის ბევრი კურსდამთავრებული დღეს ჩვენი გუნდის წევრია და ერთად ვებრძვით ყალბ და საზიანო ინფორმაციას, ნაწილი კი სხვა ორგანიზაციებსა და სამოქალაქო ატივიზმში აქტიურად იყენებს იმ ცოდნას, რომელიც მათ „მითების დეტექტორის ლაბორატორიაში" მიიღეს.

ისევე როგორც წინა წლებში, 2021 წელსაც საზოგადოებას არაერთი საინტერესო კვლევა, ონლაინ თამაში და პუბლიკაცია მოვუმზადეთ, ხოლო ჟურნალისტებს, აკადემიასა და სკოლის პედაგოგებს – პროფესიული გამოცემები.

მადლობას ვუხდით ყველა  ჩვენს პარტნიორს, დონორ ორგანიზაციას, სტუდენტებსა და ჩვენი პროგრამის მონაწილეებს, რომლებთანაც ჩვენი ურთიერთობა ერთჯერადი თანამშრომლობით არ შემოიფარგლება, რადგან ჩვენ გვაერთიანებს საერთო მიზნები, რაც ინფორმაციის სანდოობის ზრდას და დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმირებული არჩევანისთვის ჯანსაღი გარემოს ხელშეწყობას უკავშირდება.

**თამარ კინწურაშვილი**
*აღმასრულებელი დირექტორი*

# შინაარსი


**ჩვენ შესახებ** 5

პროგრამული მიმართულებები 5

**MDF რიცხვებში** 6

**I. კვლევები** 7

1. ფაქტების გადამოწმების პროგრამა 8
   - *1.1. „მითების დეტექტორის“ თანამშრომლობა Facebook-თან* 9
   - *1.2. 38 ჩასწორებული მასალა და ანგარიშვალდებულება აუდიტორიის წინაშე!* 9
   - *1.3. მითების დეტექტორი IFCN-ში* 9
   - *1.4.#CoronaVirusFacts Alliance* 10
2. კოორდინირებული არაავთენტური ქმედება (CIB) 11
3. სიძულვილის ენის და ანტიდასავლური პროპაგანდის დისკურსს ანალიზი 12
4. ინფოდემიის კვლევა 12
5. კონფლიქტების გაშუქების კვლევა 13
6. პოლიტიკის კვლევა რუსული და ჩინური გავლენები საქართველოში 13
7. მედიის ფინანსური გამჭვირვალობის და სარეკლამო პოლიტიკის კვლევა 13

**II. მედიაწიგნიერება** 15

1. მედიაწიგნიერების კვლევა 15
2. მედიაწიგნიერების პროგრამები ახალგაზრდებისთვის 16
   - *2.1. „მითების დეტექტორის ლაბორატორია“* 16
   - *2.2. რეგიონული ტრენინგები ახალგაზრდებისთვის* 18
3. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა და საგანმანათლებლო და აკადემიური სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება 19
4. მედიაწიგნიერების პოპულარიზაცია 21

**III. ადვოკატირების და ჟურნალისტური პროგრამები** 27

1. ჟურნალისტების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიის და ყალბი ინფორმაციის გამოვლენა 27
2. უმცირესობების თვითრეგულირებაში ადვოკატირება 27
3. ტრენინგები და სასწავლო რესურსები ჟურნალისტებისა და აკადემიისთვის 28
4. აღმოსავლეთ პარტნიორობის მედია ჰაბი 29
5. ტრენინგები მოლდოველი ჟურნალისტებისთვის 29

**IV. პუბლიკაციები და რეფერირება** 30

**V. საერთაშორისო თანამშრომლობა** 32

**VI. დონორები და პარტნიორები 2021** 35

**VII. ბიუჯეტი** 36

**VII. სამომავლო გეგმები** 37

# ჩვენ შესახებ

მედიის განვითარების ფონდი (MDF) მედიის კვლევების და კომუნიკაციის მიმართულებით წამყვანი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც სპეციალიზებულია ყალბი ამბების იდენტიფიცირებასა და გადამოწმებაში. MDF, რომელსაც კარგად განვითარებული მედიაწიგნიერების პროგრამები და გამოცდილი ფაქტების ანალიტიკოსები ჰყავს, მიზნად ისახავს მედიის მომხმარებელთა შორის კრიტიკული აზროვნების განვითარებას და ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლებას.

## ჩვენს შესახებ

მედიის განვითარების ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს:

- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვას; ღია, ინკლუზიური და პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას;
- სანდო და ხარისხიანი ინფორმაციის უზრუნველყოფით, საზიანო ინფორმაციის იდენტიფიცირებითა და წყაროების გამჭვირვალობის უზრუნველყოფით დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას,
- ახალ მედია ეკოსისტემაში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობას და მედიის გაცნობიერებული მოხმარების გზით მოქალაქეების მედეგობის გაზრდას.
- მედიის პროფესიულ და ინსტიტუციურ განვითარებას; მედიის ანგარიშვალდებულების სისტემების, თვითრეგულირების მექანიზმების დამკვიდრებას;

## პროგრამული მიმართულებები

მედიის განვითარების ფონდის საგანმანათლებლო, კვლევითი და ადვოკატირების მიმართულებები შემდეგ აქტივობებს მოიცავს:

- **საგანმანათლებლო:** მედიაწიგნიერება, ჟურნალისტთა პროფესიული განვითარება, აკადემიასთან და პედაგოგებთან თანამშრომლობა ტრენინგებისა და სასწავლო რესურსებით აღჭურვის გზით
- **კვლევითი:** ფაქტების გადამოწმება, სიძულვილის ენის და ანტიდასავლური განწყობების კვლევა, მავნე აქტორების შესწავლა, სოციალურ ქსელში კოორდინირებული არაავთენტური ქმედების (CIB) კვლევა, მედიის ფინანსური გამჭვირვალობის შესწავლა.
- **ადვოკატირება:** ჟურნალისტთა და მედიის მომხმარებელთა უფლებების, პოლიტიკის საკითხების ადვოკატირება.

## ჩვენი გუნდი

მედიის განვითარების ფონდს 24 თანამშრომელი და 13 მოხალისე ჰყავს.

## გამგეობის წევრები

- თამარ კინწურაშვილი, *აღმასრულებელი დირექტორი*
- თამარ ხორბალაძე, *გამგეობის თავმჯდომარე*
- ქეთევან მსხილაძე, *გამგეობის წევრი, გენდერული პროგრამების დირექტორი*
- თამარ შამილი, *გამგეობის წევრი*
- გიგა ზედანია, *გამგეობის წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
- ბექა მინდიაშვილი, *გამგეობის წევრი, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი*
- ლევან გიორგაძე, *გამგეობის წევრი*

დეტალური ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე

# MDF რიცხვებში

დავატრენინგეთ
**507**
ადამიანი

ჩავატარეთ
**41**
ტრენინგი

ვუმასპინძლეთ
**15**
ღონისძიებას

მონაწილეობა მივიღეთ
**16**
საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებაში

„მითების დეტექტორისთვის“ მოვამზადეთ
**765**
სტატია

გამოვეცით
**12**
პუბლიკაცია

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

**16**-ჯერ
ვიყავით ციტირებული/ რეფერირებული საერთაშორისო ანგარიშებში, სტატიებსა თუ კვლევებში

ვაწარმოეთ მედიის თვითრეგულირების
**3** საქმე
და მოვიგეთ **2**

„მითების დეტექტორის“ ვებ-გვერდს
**1 975 936**
ვიზიტორი ჰყავდა

„მითების დეტექტორის“ ანგარიშით Facebook-ზე
**1 500 000+**

Twitter-ზე კი
**372 400+**
მომხმარებელს მივწვდით.

წარმატებით განვახორციელეთ
**12**
პროექტი

# I. კვლევები

მედიის განვითარების ფონდი მანიპულაციურ მედია შინაარსს რამდენიმე მიმართულებით სწავლობს:

1. **უცხო ქვეყნის საინფორმაციო გავლენები** (რუსეთის სამთავრობო მედიის პირდაპირი პროპაგანდა და ირიბი ანტიდასავლური პროპაგანდა);
2. **შიდა პოლიტიკური პროპაგანდა** (სოციალურ მედიაში პოლიტიკური მიზნებით ტროლების და ყალბი გვერდების გამოყენება);
3. **ეკონომიკური მიზნით ყალბი ინფორმაციის გავრცელება** (click bite საიტები).

უცხო ქვეყნების საინფორმაციო გავლენის და ცალკეული ადგილობრივი აქტორების დეზინფორმაციული აქტივობების გამოვლენისას მედიის განვითარების ფონდი 4 საფეხურიან მიდგომას იყენებს, რომელიც შემდგომ კომპონენტებს მოიცავს:

**იდენტიფიცირება.** მედია მონიტორინგი ანტიდასავლური გზავნილების და მათი წყაროების, ნარატივების ფორმირების შესწავლის მიზნით ხორციელდება და ფართო კონტექსტის აღქმის შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე მონიტორინგის შედეგად ყალბი ან მანიპულაციური შინაარსის გამოვლენა ხდება.

**დეკონსტრუირება.** ყალბი ან მანიპულაციური შინაარსის გადამოწმება და რეალური ფაქტების დადგენა ღია წყაროების და გამჭვირვალე მეთოდოლოგიის მეშვეობით ხორციელდება.

**წყაროების გამჭვირვალობის შესწავლა.** წყაროების გამჭვირვალობა როგორც მედიის ფორმალური თუ ფარული მფლობელის დადგენას, დაფინანსების გამჭვირვალობის შესწავლას, ასევე ინფორმაციის წყაროების სანდოობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას გულისხმობს.

**განმარტება.** აუდიტორიის ინფორმირება, თუ პროპაგანდის რა მეთოდებს და ტექნიკებს იყენებს დაინტერესებული მხარე ყალბი ინფორმაციის განზრახ გავრცელებისას, რომლის მიზანი საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებაა. მედიაწიგნიერების გზით საზოგადოების მედეგობის გაზრდა, ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირების და გაფილტვრის შესაძლებლობას ზრდის და საბოლოოდ მოქალაქეებს ნაკლებად მოწყვლადს ხდის.



## 1. ფაქტების გადამოწმების პროგრამა

2021 წელს მედიის განვითარების ფონდის ფაქტების გადამოწმების პორტალმა „მითების დეტექტორი“ (www.mythdetector.ge) 764 სტატია გამოაქვეყნა, საიდანაც ყველაზე მეტი მასალა (51,5%, 428 სტატია) ინფოდემიას დაეთმო.

დიაგრამა 1. „მითების დეტექტორის“ სტატიები თემატიკის მიხედვით




გადამოწმებული ინფორმაციის ყველაზე დიდი წილი (365) დეზინფორმაციაზე მოდის, რასაც ვიზუალური მანიპულაცია (122) და მანიპულაცია (96) მოსდევს. როგორც დიაგრამა 2-ზე ჩანს, 2021 წელს დამატებით დარღვევის შემდეგი კატეგორიები გამოვლინდა: გაყალბებული ციტატები (56), კონსპირაცია (47), მტკიცებულებების გარეშე (33), შეცდომაში შემყვანი (31), სატირა (19), ნაწილობრივ მცდარი (14), კონტექსტის გარეშე (5), ცრუ მკურნალობა (4).

დიაგრამა 2. დარღვევის ტიპოლოგია



### 1.1. "მითების დეტექტორის" თანამშრომლობა FACEBOOK-თან

„მითების დეტექტორი" 2020 წლიდან Meta-ს ფეისბუქის მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის პარტნიორია. მითების დეტექტორი ფეისბუქზე გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს სწავლობს და აფასებს, რაც ახალი ამბების ავთენტურობის დადგენასა და მათი ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.




### 1.2. 38 ჩასწორებული მასალა და ანგარიშვალდებულება აუდიტორიის წინაშე!

Facebook-ის ფაქტების გადამოწმების პროგრამა სოციალური ქსელების მომხმარებელთა პასუხისმგებლობის გაზრდას და აუდიტორიის წინაშე ანგარიშვალდებულებას უწყობს ხელს. „მითების დეტექტორის" მიერ შეფასებული მცდარი ინფორმაციის თანაზომადი ფორმით ჩასწორების შემთხვევაში, პოსტის შეფასების გადახედვა და მონიშვნის გაუქმება ხდება.

2021-2022 წლებში „მითების დეტექტორის" მიერ ფეისბუქის პოსტების შეფასების შემდეგ, 38 შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაციის ავტორებმა პირველადი პოსტების ჩასწორება და აუდიტორიის თანაზომადი ფორმით ინფორმირება მოახდინეს.

38-დან 26 შემთხვევაში პოსტების ჩასწორება მედია საშუალებების მიერ მოხდა, 8 შემთხვევაში – სხვადასხვა პროფილის ფეისბუკ გვერდის, ხოლო 4 შემთხვევაში ინდივიდუალური ფეისბუქ მომხმარებლის მიერ. გავრცელებული პოსტების უმეტესობა თანაბრად ეხებოდა როგორც კორონავირუსის პანდემიას (15), ასევე პოლიტიკას (15), 2 კრიმინალს, ხოლო 6 სხვადასხვა თემას.

თანაზომადი ფორმით შესწორება გულისხმობს დაშვებული შეცდომის შესახებ მკითხველის მკაფიოდ ინფორმირებას, ცვლილებების იმავე ბმულზე შეტანის გზით, რომელზეც საწყისი სადავო შინაარსი გავრცელდა.

აღნიშნული მექანიზმი დაშვებული შეცდომის გამოსწორების გზით საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას უწყობს ხელს და როგორც ტრადიციულ მედიას, ასევე ფეისბუქის ინდივიდუალურ მომხმარებელს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის.

### 1.3. მითების დეტექტორი IFCN-ში

2019 წლიდან “მითების დეტექტორი” პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის წევრია.

> **„მითის დეტექტორის“ პლატფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ მოვლენების, არამედ მანიპულირებისა და დეზინფორმაციის შემთხვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებაში და არის IFCN– ის ღირსეული წევრი“,** – აღნიშნულია IFCN-ის შეფასებაში.

“მითების დეტექტორის” საქმიანობას პოინტერის ინსტიტუტი 2021 წელსაც აშუქებდა:

[Factually: India and Georgia look back at COVID-19’s information impact]
[Let’s review some falsehoods about masks]



POYNTER.ORG
**Factually: India and Georgia look back at COVID-19’s information impact**




POYNTER.ORG
**Let’s review some falsehoods about masks**
While debating their usefulness, it’s helpful to remember some of the wilder…

### 1.4.#CORONAVIRUSFACTS ALLIANCE

„მითების დეტექტორი“, ინფოდემიასთან ბრძოლის მიზნით, მსოფლიოს 100-ზე მეტ ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციასთან ერთად პოინტერის ინსტუტუტის გლობალურ ინიციატივას – #კორონავირუსის ფაქტების ალიანსს ([#CoronaVirusFacts Alliance]) შეუერთდა. 2021 წელს აღნიშნულ მონაცემთა ბაზაში „მითების დეტექტორის“ 394 სტატია გამოქვეყნდა.



## 2. კოორდინირებული არაავთენტური ქცევა (CIB)

„მითების დეტექტორმა“ 2021 წელს მედიის, სახალხო დამცველის, სახელმწიფო ინსპექტორის, ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტებისა და ამერიკული დემოკრატიის, ე.წ კარტოგრაფების საქმის მონაწილეების და რიონის მცველების წინააღმდეგ დისკრედიტაციის არაერთი კოორდინირებული კამპანია გამოავლინა.

**სახელისუფლებო ტროლები, მედია და ხელისუფლება ნინო ლომჯარიას წინააღმდეგ**

ანი ქისტაური | ნოემბერი 29, 2021 14:18 | კითხვის დრო: 11 წუთი




**5 გზავნილი და 12 ტროლი ლონდა თოლორაიას წინააღმდეგ**

მითების დეტექტორი | დეკემბერი 30, 2021 12:37 | კითხვის დრო: 9 წუთი




**ტროლები სააკაშვილის წინააღმდეგ, ანუ როცა ТАТО=АЛЕКСАНДР УЛЬЯНОВ-ს, კატო= СВЕТЛАНА АРТЕМЧИК-ს...**

ანი ქისტაური | ნოემბერი 2, 2021 15:56 | კითხვის დრო: 10 წუთი




**ქლიქბაიტები რუსული IP მისამართებით, ულტრანაციონალისტები, კრემლისტური და სახელისუფლებო ჯგუფები კარტოგრაფების წინააღმდეგ**

მითების დეტექტორი | თებერვალი 1, 2021 11:08 | კითხვის დრო: 8 წუთი




**ფეისბუქ ანგარიშები რიონის მცველების სახელით და მათ წინააღმდეგ**

მითების დეტექტორი | მაისი 24, 2021 10:29 | კითხვის დრო: 3 წუთი




**ტროლები КАТЯ РОДИНА-ს და МАРИЯ ВОЛКОВА-ს სახეებით ამერიკულ დემოკრატიას არცხვენენ**

ანი ქისტაური და მარიამ დანგაძე

თებერვალი 24, 2021 08:37 | კითხვის დრო: 8 წუთი



## 3. სიძულვილის ენის და ანტიდასავლური პროპაგანდის დისკურსის ანალიზი

მედიის განვითარების ფონდი მეექვსე წელია გამოსცემს ყოველწლიურ ანგარიშებს, რომლებიც სიძულვილის ენის და ანტიდასავლური პროპაგანდის დისკურსს ანალიზს ახდენს და მათ წყაროებს იკვლევს.







## 4. ინფოდემიის კვლევა

2021 წელს მედიის განვითარების ფონდმა ინფოდემიის შესახებ სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2020 წლის მონაცემებს ასახავს და პანდემიის წინააღმდეგ დეზინფორმაციულ ნარატივებთან ერთად სხვადასხვა აქტორების იდენტიფიცირებას ახდენს.






## 5. კონფლიქტების გაშუქების კვლევა

ინტერნიუსთან პარტნიორობით 2021 წელს მედიის განვითარების ფონდმა კონფლიქტების გაშუქების თემაზე ეთნიკურ უმცირესობათა რეგიონული მედიების მონიტორინგი დაიწყო. აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი რეგიონული მედიების მონიტორინგის შუალედური ანგარიში 2021 წელს გამოიცა.




## 6. პოლიტიკის კვლევა რუსული და ჩინური გავლენები საქართველოში

პრაღაში დაფუძნებული უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპული ღირებულებების ცენტრთან (EVC) და საქართველოში მომუშავე ანალიტიკურ ცენტრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან – ატლანტიკური საბჭოს ციფრული ექსპერტიზის კვლევის ლაბორატორია (DFRLab), სამოქალაქო იდეა (CI), საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) პარტნიორობით მედიის განვითარების ფონდმა 2021 წელსაც მოამზადა განახლებული კვლევა, რომელიც საქართველოში რუსულ და ჩინურ გავლენებს შეეხება.

TRANSITION Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic | USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | DFRLab

CIVIC IDEA | MDF მედიის განვითარების ფონდი | GRASS REFORMANDA

## 6. მედიის ფინანსური გამჭვირვალობის და სარეკლამო პოლიტიკის კვლევა

მედიის განვითარების ფონდმა 2021 წელს მედიის ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ ახალი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც მედიის ფინანსურ მდგრადობას, მათ შორის მედიაში საბიუჯეტო კონტრაქტების გადანაწილების პრაქტიკას და ანტიდასავლური მედიების დაფინანსებას სწავლობს.

ამასთანავე, მედიის განვითარების ფონდი 2021 წელს ღია საინფორმაციო პარტნიორობის (Open Information Partnership) კვლევითი პროექტის ფარგლებში 5 ქვეყანასთან ერთად მონაწილეობდა კვლევაში, რომელმაც ის ქართული კომპანიები გამოავლინა, ვისი რეკლამაც Google ads-ის მეშვეობით რუსულ პროპაგანდისტულ პლატფორმებზე ხვდებოდა.



# II. მედიაწიგნიერება

2021 წელს მედიის განვითარების ფონდმა მედიაწიგნიერების მიმართულებით შემდეგი აქტივობები განახორციელა:

1. კვლევა;
2. ტრენინგები;
3. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა და საგანმანათლებო და აკადემიური სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება;
4. მედიაწიგნიერების პოპულარიზაცია.

მედიაწიგნიერების პროგრამას 2021 წელს შემდეგი სამიზნე ჯგუფები ჰყავდა:

1. ახალგაზდები;
2. სკოლებისა და უნივერსიტეტის პედაგოგები (აკადემია);
3. საზოგადოება.

## 1. მედიაწიგნიერების კვლევა

მედიის განვითარების ფონდი 2021 წელს შეუერთდა ლატვიური ორგანიზაცია Baltic Centre for Media Excellence-ის ინიციატივას, რომელიც საქართველოში, ლატვიაში, მოლდოვასა და უკრაინაში მედიაწიგნიერების სექტორის კვლევას ითვალისწინებდა. ოთხი ორგანიზაციის Baltic Centre for Media Excellence-ის (ლატვია), მედიის განვითარების ფონდის (საქართველო), დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ცენტრის (მოლდოვა) და უკრაინის მედია და კომუნიკაციის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კვლევა, როგორც პოლიტიკის საკითხებს, ასევე მედიაწიგნიერების პროგრამების დანერგვის პროცესში არსებულ გამოწვევებს შეეხება. კვლევის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციები 4 ქვეყნის პარლამენტის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში იქნა განხილული.



საქართველოს შესახებ მომზადებული **ანგარიშის** და შესაბამისი რეკომენდაციების განხილვა პარლამენტის, მარეგულირებელი კომისიის, არასამთავრობო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა, რა დროსაც მედიაწიგნიერების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით სამომავლოდ გადასაჭრელი საკითხებიც განისაზღვრა.




## 2. მედიაწიგნიერების პროგრამები ახალგაზრდებისთვის

2021 წელს მედიის განვითარების ფონდი ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერების 2 პროგრამას ახორციელებდა:

1. „მითების დეტექტორის ლაბორატორია“ – ინტენსიური 3,5 თვიანი საკვირაო კურსი ახალგაზრდებისთვის;
2. „გაზომე სიმართლე!“ რეგიონული ტრენინგები ახალგაზრდებისთვის.

### 2.1. „მითების დეტექტორის ლაბორატორია“

„მითების დეტექტორის ლაბორატორია“ ფაქტების გადამოწმების პორტალის www.mythdetector.ge-ს ბაზაზე 2017 წელს დოიჩე ველე აკადემიასთან პარტნიორობით დაფუძნდა. ლაბორატორია უკვე მეექვსე წელია წარმატებით ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც მედიაწიგნიერების კურსი უკვე 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა. 2021 წელს პროგრამას თბილისიდან, აჭარიდან, იმერეთიდან, კახეთიდან, ქვემო ქართლიდან და შიდა ქართლიდან 42 კურსდამთავრებული ჰყავდა.

კურსი აქტიური სწავლების მეთოდით ხორციელდება და მისი მიზანია ახალგაზრდებს კრიტიკული აზროვნების და OSINT-ის მეშვეობით ყალბი ინფორმაციის/ვიზუალის გადამოწმების უნარები განუვითაროს. კურსი თეორიულ ცოდნასთან ერთად „მითების დეტექტორის“ რედაქციაში სტაჟირებასაც ითვალისწინებს, რომლის ფარგლებშიც 2021 წლის კურსდამთავრებულებმა 95 სტატია მოამზადეს, რომელთა ნაწილი EUvsDisinfo-ს და პოინტერის ინსტიტუტის და კორონავირუსის ფაქტების ალიანსის პლატფორმებზეც გამოქვეყნდა.

სტუდენტების მიერ მომზადებული მასალები შეეხებოდა **პანდემიას**, **ისტორიას**, **წიაღისეულის მოპოვებას**, **ვიდეომანიპულაციას** და სხვა თემებს.













სულ პროგრამის მიმდინარეობის 5 წლის მანძილზე, სტუდენტებმა 451 სტატია მოამზადეს.

**წარმატებული მაგალითები.** „მითების დეტექტორის" წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორი, კურსდამთავრებულთა დასაქმებაა. პროგრამის კურსდამთაბრებულები დღეს დეზინფორმაციის კვლევისა და მედიაწიგნიერე-ბის მიმართულებით სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობენ, მათ შორის მედიის განვითარების ფონდში არაერთი მათგანია დასაქმებული:



**მარიამ ცალახაძე**

**2019 წლის კურსდამთავრებული**

„ფაქტების გადამოწმებისა და ყალბი ინფორმაციის გამოვლენისას რეგულარულად ვიყენებ იმ ხელსაწყოებს, რომლებთან მუშაობაც მითლაბის სტუდენტობისას ვისწავლე. პროგრამა ასევე დამეხმარა ისეთი უნარების გამომუშავებაში, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ღია წყაროებთან მუშაობა, კვლევა და აკადემიური წერა".



**დავით როზაქიძე**

**2021 წლის კურსდამთავრებული:**

„მითების დეტექტორი" მედიაწიგნიერებით ჩემი დაინტერესების მთავარი კატალიზატორი გახდა, ხოლო კურსის ფარგლებში მიღებული პრაქტიკული ცოდნა – დეზინფორმაციასთან ბრძოლის მთავარი იარაღი, რომელსაც ყოველდღიურად ვიყენებ".



**ანი ქისცაური**

**2018 წლის კურსდამთავრებული**

„მითების დეტექტორის ლაბორატორიამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩემი კარიერული ტრაექტორია. პროგრამა დამეხმარა, გამომემუშავებინა ფაქტების გადამოწმებისთვის საჭირო უნარები და ამავდროულად, მომცა შესაძლებლობა, დავხმარებოდი სხვებს ყალბი და სანდო ინფორმაციისგან გარჩევის პროცესში".



**ნიკა შეყელაძე**

**2020 წლის კურსდამთავრებული**

„მას შემდეგ, რაც MDF-ის გუნდის წევრი გავხდი, მითლაბის დროს მიღებულ ცოდნას აქტიურად ვიყენებ ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში“.



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით მედიის განვითარების ფონდი 2019 წლიდან ახორციელებს ტრენინგების სერიას „გაზომე სიმართლე!“ პროგრამის ფარგლებში 2021 წელს მედიის განვითარების ფონდმა 309 ახალგაზრდა მედიაწიგნიერებაში დაატრენინგა. ონლაინ ფორმატის გარდა, მედიის განვითარების ფონდმა 2021 წელს ტრენინგები 10 ქალაქსა (ქუთაისი, ბათუმი, ჯვარი, ახალციხე, თელავი, ტყიბული, ამბროლაური, ხულო, გორი, თბილისი) და 2 სოფელში (ნიგვზარა, ეშტია) ჩაატარა.  ჯამში პროგრამის დაწყებიდან ტრენინგში 720 ახალგაზრდა მონაწილეობდა.




მომზადდა ვიდეორგოლების სერია, რომელშიც ტრენინგის მონაწილეები საკუთარ გამოცდილებას სხვებს უზიარებენ:

**მარიამ ამბროლაძე**

**მედიაწიგნიერების ტრენინგის მონაწილე ტყიბულიდან**

„გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით აზრი მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით არ უნდა ჩამოაყალიბო. აუცილებელია, გადაამოწმო ფოტო და ტექსტი და ყურადღება მიაქციო მედიასაშუალებების ლოგოებს და URL მისამართებს“.





**ნინო ტაბატაძე**
მედიაწიგნიერების ტრენინგის მონაწილე
სოფელ ნიგვზარიდან

**„ხშირად შემხვედრია ყალბი ინფორმაცია, რომელიც დამიჯერებია და შემდეგ აღმომიჩენია, რომ ყალბი იყო. ვფიქრობ, დღეს იმდენი რამ ვისწავლე, მომავალში ეს აღარ დამემართება და ყურადღებას მივაქცევ, რამდენად სანდო გვერდი ან პროფილი ავრცელებს ინფორმაციას“.**



**თაჰირა მაკარაძე**
მედიაწიგნიერების ტრენინგის მონაწილე
ბათუმიდან

**„დიდი ხნის წინ დავიწყე ფეისბუკის გამოყენება და მაშინ არ ვიცოდი, რა იყო ტროლები. ამ ტრენინგის შემდეგ ვფიქრობ, რომ მე დღეს უკვე ბევრ ტროლს დავამარცხებ“.**

## 3. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა და საგანმანათლებლო და აკადემიური სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება

მედიის განვითარების ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან და სკოლებთან, როგორც პედაგოგთა მომზადების, ასევე სასწავლო რესურსებით მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

2019 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგა კურსი „მედიაწიგნიერების სწავლება სკოლებში“, რომელსაც პედაგოგთა მომზადების პროგრამის მონაწილეები გადიან. 2021 წელს აღნიშნული კურსი 23-მა, ხოლო პროგრამის დაწყებიდან სულ 76-მა სტუდენტმა გაიარა.

2021 წელს უნივერსიტეტის ლექტორებმა და პედაგოგებმა, ასევე პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი, თუ როგორ მოახდინონ სასწავლო პროგრამებში ინფორმაციის გადამოწმების ახალი ინსტრუმენტებისა და მედიაწიგნიერების კომპეტენციების ინტეგრირება. ტრენინგში მონაწილეობა 8 უნივერსიტეტის და 1 პროფესიული ორგანიზაციის 14-მა წარმომადგენელმა მიიღო.






**სახელმძღვანელო.** მედიის განვითარების ფონდმა 2021 წელს UNESCO-ს სახელმძღვანელო „ჟურნალისტიკა, 'ყალბი ამბები' და დეზინფორმაცია" ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა. სახელმძღვანელო, რომელიც 29 ენაზეა თარგმნილი, ქართულ ენაზე როგორც [MDF](#)-ის, ასევე [UNESCO](#)-ს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი და უმაღლესი სასწავლებლების კურიკულუმშია ინტეგრირებული.




**თამაში.** ინტერაქციული სწავლების მიზნით მედიის განვითარების ფონდი ონლაინ თამაშებისა და ქვიზების შექმნას 2021 წელსაც განაგრძობდა. საერთაშორისო ჰაკათონის გამარჯვებული თამაში Dr Fake განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

2021 წელს ინფოდემიის, გენდერის, სატირისა და ვიდეომანიპულაციის შესახებ არაერთი ქვიზი შეიქმნა, რომელიც მედიაწიგნიერების ([www.millab.ge](http://www.millab.ge)) რესრუსებშია ხელმისაწვდომი.















## 4. მედიაწიგნიერების პოპულარიზაცია

2021 წლის მედიაწიგნიერების კამპანიის სლოგანი ილიას სიტყვები „იკვლიე, მოსჩხრიკე!“ იყო. ილია ჭავჭავაძის სიტყვები პოლემიკური წერილებიდან, რომელიც 1887 წლით თარიღდება, ხაზს უსვამს კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობას, რაც მედიაწიგნიერების ერთ-ერთი ბაზისია. ამ თემაზე მედიის განვითარების ფონდმა შემეცნებითი კლიპიც მოამზადა, რომელშიც ამერიკის ელჩის მოადგილე რაიან ჰარისიც MDF-ის მედიაწიგნიერების პროგრამის კურსდამთავრებულებთან ერთად მონაწილეობდა.

**„თვით იკვლიე, თუ შეიძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვალევი“,** *– ილია ჭავჭავაძე, „პოლემიკური წერილები“ „ცხოვრება და კანონის“ გამო“. 1887 წ.*

**ფორუმი.** მედიაწიგნიერების პოპულარიზაციის მიზნით, MDF ყოველწლიურ მედიაწიგნიერების ფორუმს მართავს, ასევე უერთდება UNESCO-ს მედიაწიგნიერების გლობალურ კვირეულს.

UNESCO-ს მედიაწიგნიერების კვირეულის, #GlobalMILWeek2021-ის ფარგლებში გამართულ MDF-ის მედიაწიგნიერების ფორუმზე წლის ყველაზე მედიაწიგნიერი ახალგაზრდა დასახელდა, რომელიც ბლოგების კონკურსის გზით გამოვლინდა.

2021 წლის ყველაზე მედიაწიგნიერი ახალგაზრდა ნინო მაღრაძე გახდა, რომელიც ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანიდანაა და თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET-ის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტია.

**„დეზინფორმაცია ვირუსია, რომელიც ადამიანის გონებას აავადებს, საეჭვო ცნობების წინააღმდეგ მის იმუნიტეტს ასუსტებს. სამაგიეროდ, კრიტიკული აზროვნება არის ის ანტისხეული, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია გონებაში შემოჭრილ დეზინფორმაციას ფაქტობრივი სიზუსტით ვებრძოლოთ“,** *– წერს ნინო ბლოგში, რომელმაც მას კონკურსზე გამარჯვება მოუტანა.*




მედიაწიგნიერების რეგიონული ფორუმი 2021 წელს ყვარელში გაიმართა და მას ამერიკის ელჩი კელი დეგნანი ეწვია.

„ბევრ ქვეყანაში მიმუშავია, თუმცა საქართველოში, მისი მეზობლებიდან გამომდინარე, ბევრ დეზინფორმაციას ვაწყდები“, – აღნიშნა კელი დეგნანმა ყვარელში გამართულ მედიაწიგნიერების ფორუმზე.







ფორუმის მონაწილეებს მედიაწიგნიერების თამაშებში და პრაქტიკურ სემინარებში ჩართვის შესაძლებლობა ჰქონდათ.



„ძალიან მარტივი ყოფილა თურმე ინფორმაციის გარჩევა“ – ამბობს კატო ბეჟანიშვილი, ყვარლის მედიაწიგნიერების ფორუმის მონაწილე.

ონლაინ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა 2021 წელს პანკისელ ახალგაზრდებსაც ჰქონდათ. UNICEF-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელსაც დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ, ტრენინგის გარდა, ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერების ონლაინ თამაშების გამოფენა გაიმართა.









**DR. FAKE-ის პოპულარიზაცია.** მედიაწიგნიერების ახალი თამაშის პოპულარიზაციის მიზნით, მედიის განვითარების ფონდმა სოციალურ და ტრადიციულ მედიაში კამპანია აწარმოა. მომზადებული პრომო ვიდეორგოლები სოციალური მედიით გავრცელდა, ამასთან MDF ტელევიზიების – მთავარისა და ფორმულას – დილის გადაცემებს ეწვია, სადაც ფართო აუდიტორიას გააცნო, თუ როგორ იქმნებოდა თამაში, რომელშიც მედიაწიგნიერების ქალაქის გადასარჩენად დოქტორ ფეიკისა და მის 4 მინიონის – დიპფეიკის, ტროლის, კლონისა და ფიშერის – დამარცხებაა საჭირო. ტელევიზიებში სტუმრობის ფარგლებში, MDF-მა მაყურებლისთვის მინიშეჯიბრი მოაწყო და გამარჯვებულები სამახსოვრო პრიზებითაც დაასაჩუქრა.







**სალომე ტორაძე, სკოლის მოსწავლემ ქუთაისიდან, გათამაშებაში რეალური ფოტოს დამუშავებულისგან გარჩევა პირველმა შესძლო.**

**სტუდენტმა თბილისიდან, ქეთი მაჭარაშვილმა კი გათამაშებაში ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ბლოგერი ამოიცნო.**

**მედიაწიგნიერების ვიდეორგოლები.** მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით MDF-მა 2021 წელს არაერთი სოციალური კლიპი მოამზადა, რომელიც კამპანიის ფარგლებში ნაციონალური არხებითა და სოციალური მედიით გავრცელდა. კრიტიკული აზროვნების გარდა, კლიპები მობილური აპლიკაციით ყალბი ფოტოს გადამოწმებას და ფეისბუკის ფაქტების გადამოწმების პროგრამას შეეხება.



**#ნაბიჯი მედიაწიგნიერებისთვის** მედიის განვითარების ფონდის სოციალური მედიაკამპანიის კიდევ ერთი წარმატებული პროდუქტია, რომლის ფარგლებში „მითების დეტექტორის“ ფაქტების ანალიტიკოსებმა და ქართველმა ინფლუენსერებმა ერთობლივი ვიდეორგოლები ისეთ თემებზე ჩაწერეს, როგორებიცაა:

1. ვიდეო მანიპულაცია;
2. ვებ-გვერდების სანდოობა;
3. ინტერნეტ ტროლების ამოცნობა;
4. ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების პროგრამა და მითების დეტექტორის პარტნიორობა.






**#ფეისბუქი VS FAKEბუქი.** მედიის განვითარების ფონდმა PalitraVideo.ge-ის მაყურებლებისა და „მითების დეტექტორის“ ფეისბუქ-გვერდის გამომწერებსთვის ახალი მინი-სერიალი შექმნა.

„ფეისბუქი VS FAKEბუქის“ მაყურებლებს ტელეწამყვანები ბაია დვალიშვილი და სანდრო გაბისონია საინფორმაციო ლაბირინთებში ნავიგაციაში ეხმარებიან. პროექტს MDF აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და Zinc Network-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. 2021 წელს მაყურებელმა 4 სერია იხილა.



**#მეხსიერება.** იდენტობასთან და ისტორიული მეხსიერებასთან დაკავშირებული კრემლის დეზინფორმაციული ნარატივების საპასუხოდ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მედიის განვითარების ფონდმა, Open Information Partnership-ისა და Zinc Network-ის ხელშეწყობით, ვიდეო ბლოგების სერია #მეხსიერება მოამზადა, რომელიც შემდეგ ეპიზოდებს მოიცავს:

1. **საერთო ღირებულებები** – ილია ჭავჭავაძის თაობის ბრძოლა საქართველოს პროგრესისა და განვითარების გზაზე დასაყენებლად – ენათმეცნიერი მზექალა შანიძის ბლოგი,
2. **საბჭოთა კავშირის ანტირელიგიური პოლიტიკა** – საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევრის ირაკლი ხვადაგიანის ბლოგი,
3. **საბჭოთა კავშირის მიერ ისტორიული მეხსიერების წაშლის მცდელობა** – ილია ჭავჭავაძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ნინო დობორჯგინიძის ბლოგი,
4. **საბჭოთა კავშირის მიერ რეპრესირებული მართლმადიდებელი სასულიერო პირები** – მღვდელი გიორგი წეროძის ბლოგი;
5. **ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისთვის** – კირიონ II-ის ისტორია – თეოლოგი ბექა მინდიაშვილის ბლოგი.



# III. ადვოკატირების და ჟურნალისტური პროგრამები

## 1. ჟურნალისტების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიის და ყალბი ინფორმაციის გამოვლენა

მედიის განვითარების ფონდი ჟურნალისტების წინააღმდეგ კიბერ სივრცეში მიმდინარე თავდასხმებსა და მიზანმიმართულ დისკრედიტაციის კამპანიებს სისტემატურად იკვლევს. 2021 წელს ჩვენ გამოვავლინეთ არაერთი ყალბი პროფილი და ანონიმური გვერდის მიერ წარმოებული დისკრედიტაციის კამპანია, რომელიც ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობას უკავშირდებოდა და როგორც სახელისუფლებო ანგარიშების, ასევე ანტილიბერალური ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან მომდინარეობდა:

- ტვ პირველის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია არხზე ფარული ჩანაწერის ჩვენებას უკავშირდებოდა რომელშიც სავარაუდოდ, ხელისუფლების წარმომადგენლები და მმართველ პარტიასთან დაახლოებული პირები მონაწილეობდნენ.
- მეორე შემთხვევაც ტვ პირველს და მისი გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას წინააღმდეგ კოორდინირებულ დისკრედიტაციის კამპანიას და დეზინფორმაციას უკავშირდებოდა. ლაშქარავა, რომელიც გარდაცვალებამდე ძალადობრივმა ჯგუფებმა თბილისი პრაიდის საწინააღმდეგო აქციაზე სცემეს. ორივე შემთხვევაში დისკრედიტაციის კამპანიაში ახლადშექმნილი ფეისბუქ გვერდები და სახელისუფლებო ანგარიშები იყვნენ ჩართული, რომელთა ნაწილი ფეისბუკმა წაშალა.







## 2. უმცირესობების თვითრეგულირებაში ადვოკატირება

მედიის განვითარების ფონდმა 2021 წელს პროფესიული და ეთიკური გაშუქების სტანდარტის დამკვიდრების მიზნით ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში ინიცირებული ორი საქმე მოიგო, მათგან ერთი ეთნიკური აზერბაიჯანლების მიმართ ქსენეფობიას, ხოლო მეორე კორონავირუსის პანდემიის ცრუ მკურნალობას შეეხებოდა. მუსლიმი ჯგუფების ინტერესების ადვოკატირების მიზნით მედიის განვითარების ფონდმა სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!" წევრ ორგანიზაციებთან (GDI, TDI, IDSD) ერთად ტელეკომპანია „იმედის" თვითრეგულირების ორგანოსაც მიმართა.

## საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

### 3. ტრენინგები და სასწავლო რესურსები ჟურნალისტებისა და აკადემიისთვის

ფონდ ჰიდაიასა და ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის „ნარატივების რადიკალიზაციის პრევენცია და მათზე რეაგირება საქართველოში“ ფარგლებში მედიის განვითარების ფონდმა ჟურნალისტებისა და სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის ტერორიზმისა და მრავალფეროვნების გაშუქების თემაზე შემდეგი აქტივობები განახორციელა:

1. **აკადემიისთვის:** შეიქმნა ორი კურიკულუმი: 1) ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის გაშუქება და 2) მრავალფეროვნების გაშუქება; ასევე ორი სიმულაციური მოდული ტერორიზმის გაშუქებაზე, რომელთა ინტეგრირება სხვადასხვა უნივერსიტეტების მედია სკოლების პროგრამებში მოხდა. ითარგმნა დამხმარე მასალები ტერორიზმის გაშუქების თემაზე უნივერსიტეტების ლექტორებისთვის.
2. **ჟურნალისტებისა და აკადემიისთვის:** მომზადდა სახელმძღვანელო „როგორ (არ) გავაშუქოთ მრავალფეროვნება“, რომელიც ინკლუზიური გაშუქების სწავლების მიზნით შეიქმნა და უნივერსიტეტების მედია სკოლებსა და ტრენინგის მონაწილე ჟურნალისტებსა და სტუდენტებს დაურიგდათ.
3. **ჟურნალისტებისთვის:** ნაციონალური და რეგიონული მედიის ჟურნალისტებს, ასევე სტუდენტებს (20 ჟურნალისტი, 6 სტუდენტი) ჩაუტარდათ ტრენინგი ტერორიზმის გაშუქების საკითხებში, რომელსაც MDF-ის მოწვევით საერთაშორისო გამომძიებელი რეპორტიორი და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი პილარ რიკენა უძღვებოდა.
4. **კონკურსი ჟურნალისტებისთვის.** ჩატარდა კონკურსი მრავალფეროვნების საკითხების გაშუქებაზე, რომელშიც 28 ჟურნალისტი მონაწილეობდა, ჟიურიმ გამოავლინა 10 გამარჯვებული, რომელთა ნაშრომები როგორც ნაციონალური, ასევე რეგიონული მედიებით გაშუქდა. გამარჯვებულთა შორის იყვნენ ახალციხის მე-9 არხის (1, 2), მთავარი არხის, Civil.ge-ს, On.ge-ს (1, 2, 3), პუბლიკას, GuriaNews-ს, qvemoqartli.ge-ს ჟურნალისტები.






## 4. აღმოსავლეთ პარტნიორობის მედია ჰაბი

მედიის განვითარების ფონდმა (MDF) კონრად ადენაუერის ფონდთან (KAS) თანამშრომლობით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჟურნალისტებს შორის პროფესიული კავშირების გაღრმავების ხელშეწყობის მიზნით, “EaP მედია ჰაბი” შექმნა.

ჰაბის ფარგლებში ჟურნალისტებს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, საქართველოდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან ჩაუტარდათ სემინარი, რომელიც რეგიონალური აქტუალობის საერთო თემების გამოკვეთას და ერთობლივ ჟურნალისტურ პროდუქტზე თანამშრომლობის დასახვას ისახავდა მიზნად.

პროექტის ფარგლებში გაიმართა კონკურსი. “EaP მედია ჰაბის” 17 საკონკურსო განაცხადიდან ჟიურიმ [ოთხი მედიაპროექტი შეარჩია](), რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებმა ამერიკული ლაბორატორიების, ანტივაქსერული მოძრაობების, ყალბი კოვიდ-პასპორტების და ახალი რეგიონული ფორმატის 3+3-ის შესახებ ერთობლივად მოამზადეს.




## 5. ტრენინგები მოლდოველი ჟურნალისტებისთვის

მედიის განვითარების ფონდმა ყალბი ინფორმაციის გადამოწმებაში ტრენინგები მოლდოველ ჟურნალისტებსაც ჩაუტარა. მოლდოვის დამოუკიდებელი პრესის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ **ღონისძიება-ზე** ტრენინგის მონაწილეებმა OSINT-ით ინფორმაციის გადამოწმების ხერხები შეისწავლეს.



# IV. პუბლიკაციები და რეფერირება

2021 წელს მედიის განვითარების ფონდმა სულ 12 პუბლიკაცია გამოსცა, აქედან 4 პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. გამოცემებიდან ერთი UNESCO-ის დამხმარე სახელმძღვანელოს თარგმანია ყალბი ინფორმაციის თემაზე, რომელიც UNESCO-ის ციფრულ ბიბლიოთეკაში 29 ენაზე, მათ შორის ქართულადაც არის ხელმისაწვდომი, ერთი კი MDF-ის შემუშავებული სახელმძღვანელო მრავალფეროვნების გაშუქების თემაზე.

### MDF-ის ყოველწლიური თემატური ანგარიშები:

1. ანტიდასავლური პროპაგანდა – 2020
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/207/
2. სიძულვილის ენა – 2020
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/219/
3. მედიის ფინანსური გამჭვირვალობა – 2020
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/215/

### სხვადასხვა თემატური ანგარიშები:

4. ინფოდემია საქართველოში – 2020
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/201/
5. როგორ ხვდება ქართული კომპანიების რეკლამები კრემლის პროპაგანდისტულ პლატფორმებზე GOOGLE ADS-ის გავლით
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/203/
6. კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი – აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიებში
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/213/

### თარგმანები და სახელმძღვანელოები:

7. ჟურნალისტიკა, „ყალბი ამბები“ და დეზინფორმაცია
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/199
8. როგორ (არ) გავაშუქოთ მრავალფეროვნება
   https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/205






## ერთობლივი გამოცემები საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად:

9. აღმოსავლეთ ევროპის პროგრამის ანგარიში: საგარეო გავლენის აქტორების შედარებითი კვლევა საქართველოში https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/197/
10. მედიაწიგნიერების სექტორის კვლევა საქართველოში, ლატვიაში, მოლდოვასა და უკრაინაში – ანგარიში საქართველოს შესახებ – 2021 https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/217/
11. მედიის პოგრომი: თბილისი, 5-6 ივლისი, 2021 https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/209
12. ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებული ანტიდასავლური ნარატივები, აქტორები და მადისკრედიტირებელი კამპანია ფეისბუქზე https://mythdetector.ge/en/anti-western-narratives-and-actors-around-nika-melia-s-arrest-and-discrediting-campaign-on-facebook/







## რეფერირება საერთაშორისო ანგარიშებსა და პუბლიკაციებში:

მედიის განვითარების ფონდის გამოცემები არაერთ ანგარიშსა და პუბლიკაციაში იყო ციტირებული, მათ შორის:

1. U.S State Department: “Contaminated Trust: Public Health Disinformation and Its Societal Impacts in Georgia, Kazakhstan and Ukraine” – https://bit.ly/37OhWdq
2. U.S State Department: “2021 Report on International Religious Freedom: Georgia” https://bit.ly/3PmuzwN
3. NATO Strategic Communications Centre of Excellence: “Georgia’s Information Environment through the Lens of Russia’s Influence” – https://bit.ly/3Ecwe3P
4. European Parliament’s Special Committee on Foreign Interference in all Democratic Processes in the European Union: “The misuse of social media platforms and other communication channels by authoritarian regimes: Lessons learned” https://bit.ly/37Rw6KW
5. Internews, GEORGIA An Information Ecosystem Assessment, 2021 https://bit.ly/3awwEaQ
6. Ian Kelly and David J. Kramer, “A Country on the Verge: The Case for Supporting Georgia”, German Marshall Fund of the United States, 2021; https://bit.ly/3RrTYHf
7. International Republican Institute (IRI), “Election Report of the IRI Technical Election Assessment Mission to Georgia”, 2021 https://bit.ly/3yw7GQQ
8. Lisa Clifford, Ethical Journalism Network, 2021 https://bit.ly/3AMaIZp

# V. საერთაშორისო თანამშრომლობა

მედიის განვითარების ფონდი არაერთ საერთაშორისო ფორმატში თანამშრომლობს. ჩვენ UNESCO-ის მედია და ინფორმაციული წიგნიერების ალიანსის საერთაშორისო ხელმძღვანელი კომიტეტის (ISC) წევრი გავხდით, ამასთანავე დოიჩე ველე აკადემიის მედია და ინფორმაციული წიგნიერების ქსელის (MILEN), ღია ინფორმაციული პარტნიორობის (OIP) წევრი, პოინტერის ინსტიტუტის საერთაშორისო ფაქტების გადამოწმების ქსელის (IFCN) ვერიფიცირებული ხელმომწერი ვართ. 2020 წლიდან ჩვენ კომპანია Meta-სთან Facebook-ის მესამე მხარის ფაქტების




გადამოწმების პროგრამის ფარგლებში ვთანამშრომლობთ, ასევე ვპარტნიორობთან EUvsDisinfo-სთან, რომელიც ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახურის (EEAS) East StratCom სამუშაო ჯგუფის პროექტია. 2021 წელს თანამშრომლობა დავიწყეთ ამერიკულ ორგანიზაცია The Critical Mass-თან და წლებია ვთანამშრომლობთ შეერთებული შტატების გლობალური მედიის სააგენტოსთან, ლატვიური ორგანიზაცია Baltic Centre for Media Excellence-ისთან და სხვა პარტნიორებთან.

## „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ყალბ ამბებთან საბრძოლველად"

2021 წელს MDF-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, თამარ კინწურაშვილმა მონაწილეობა მიიღო MILEN-ის ქსელის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში თემაზე: „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ყალბ ამბებთან საბრძოლველად". ღონისძიებაში MILEN-ის წევრებთან ერთად დოიჩე ველე აკადემიის, ლონდონის ეკონომიკის სკოლის (LSE), განას ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.



## შერყეული ნდობა: დეზინფორმაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში და მისი გავლენა საქართველოს საზოგადოებაზე




2021 წელს ამერიკულ ორგანიზაცია The Critical Mass-თან (TCM) ერთად ერთობლივ ღონისძიებას – **„შერყეული ნდობა: დეზინფორმაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში და მისი გავლენა საქართველოს საზოგადოებაზე“** ვუმასპინძლეთ. ღონისძიებაში, რომელზეც წარმოდგენილი იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროზე რუსეთის დეზინფორმაციის გავლენის შესახებ TCM-ის ანგარიშის მთავარი მიგნებები, საქართველოს ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლებთან და დეზინფორმაციის ექსპერტებთან ერთად ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების ევროპის პროგრამის ხელმძღვანელი სოფი აიარსიც მონაწილეობდა, რომელმაც პანდემიასთან ბრძოლაში ფეისბუქის პოლიტიკაზე ისაუბრა.

## DISRUPTION NETWORK LAB




2021 წელს ჩვენ გერმანული ორგანიზაცია Disruption Network Lab-ის მიერ ორგანიზებულ ორ პანელში **„ინფორმაციის იარაღად გამოყენება ცხელი და გაყინული კონფლიქტების რეგიონებში“** და **„დეზინფორმაცია, როგორც ვირუსი – ყალბი ამბები და პანდემია“** საქართველოდან მედიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი და “მითების დეტექტორის” რედაქტორის მოადგილე ქეთი ხუციშვილი იღებდნენ მონაწილეობას.



## ARIJ21 და ტუნისის ფორუმი ინოვაციები პოლიტიკაში

MDF-ის აღმასრულებელი დირექტორმა თამარ კინწურაშვილმა 2021 წელს #ARIJ21-ზე „არაბი რეპორტიორები საგამოძიებო ჟურნალისტიკისთვის“ ყოველწლიურ საერთაშორისო ფორუმში, ასევე ტუნისის ფორუმში ინოვაციები პოლიტიკაში მიიღო მონაწილეობა.




## #GLOBALMILWEEK




MILEN-ის ქსელის მიერ #GlobalMIL-Week-ის ფარგლებში ორგანიზებულ ონლაინ-დისკუსიას მითების დეტექტორის მკვლევარი მარიამ დანგაძე და მედიაწიგნიერების პროგრამის კურსდამთავრებული თაკო ჩხარტიშვილი გაუძღვენენ და სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან ერთად კონსპირაციული ფილმი “Plandemic” განიხილეს.

## სხვა საერთაშორისო ღონისძიებები:

1. WBIMLC 2021 დასავლეთ ბალკანეთის ინფორმაციული და მედია წიგნიერების კონფერენცია
2. Black Sea Trust for Regional Cooperation: დეზინფორმაცია შავი ზღვის რეგიონში
3. ICE – Institute for Central Europe: სოციალურ ქსელში რუსული აქტორების პროპაგანდის ინსტრუმენტები
4. სლოვაკეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები: ბრძოლა მისინფორმაციისა და უცხოეთის საზიანო ინფორმაციულ ოპერაციებთან
5. ქართული ინტერნეტ მმართველობის ფორუმი (GeoIGF) 2021: დეზინფორმაცია: გამოწვევები საქართველოს ინტენტე სივრცეში
6. Digital Communication Network: თამაშები დეზინფორმაციის წინააღმდეგ: სომხეთის და საქართველოს გამოცდილება
7. Online Discussion: Electoral Discourse ahead of Georgia’s Local Elections, organized by ISFED
8. European Values Center for Security Policy: ვითარება საქართველოში და საერთაშორისო შედეგები

# VI. დონორები და პარტნიორები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

unag

Hedayah countering violent extremism

Meta

U.S. EMBASSY TBILISI

U.S. AGENCY FOR GLOBAL MEDIA

german cooperation DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

DW Akademie Made for minds.

KONRAD ADENAUER STIFTUNG

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

Foreign, Commonwealth & Development Office

Ministry of Foreign Affairs Republic of Latvia

Baltic Centre for Media Excellence

EUROPEAN VALUES Protecting Freedom

EU VS DiSiNFO

The Critical Mass

OPEN INFORMATION PARTNERSHIP

UNESCO MIL Alliance

Internews Local voices. Global change.

UKRAINE CRISIS media center

n-ost border crossing journalism

ZINC NETWORK

# VII. ბიუჯეტი 2021

ორგანიზაციის მთლიანმა შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 544,448.36 €, საიდანაც საგრანტო შემოსავალი იყო 38%, ხოლო 62% – შემოსავალი სხვა კონტრაქტებიდან.

დაფინანსების წყაროები (ევრო)




ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ლინკს.

# VIII. სამომავლო გეგმები

მედიის განვითარების ფონდი 2022 წელსაც გააგრძელებს მუშაობას ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ჩვენ ვგეგმავთ:

- გავაფართოვოთ მედიაწიგნიერების პროგრამების სამიზნე ჯგუფები და უფრო მჭიდროდ ვიმუშაოთ სკოლებთან და აკადემიასთან საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერების მიზნით;
- გავაგრძელოთ მუშაობა ახალგაზრდებთან და შევქმნათ ფორმატები, რომლებიც მედიაწიგნიერების ცოდნის და უნარების კიდევ უფრო გავრცელებას შეუწყობს ხელს;
- კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი ფაქტების გადამოწმების პლატფორმა და გავზარდოთ მასზე წვდომა კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმატების გამოყენებით;
- შევიმუშავოთ ახალი პროექტები, რომლებიც გენდერული მიმართულებით კვლევების განვითარებას და ამ თემებისადმი ჟურნალისტების მგრძნობელობის გაზრდას შეუწყობს ხელს;
- ხელი შევუწყოთ მედიის პროფესიულ განვითარებას დეზინფორმაციასთან ბრძოლაში მათი შესაძლებლობების გაძლიერების გზით;
- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ვიმუშაოთ ერთობლივ პროექტებზე, რომლებიც საზოგადოების მედეგობის და მედიის პროფესიულ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული;
- აკადემიური სივრცისთვის და სხვადასხვა აქტორებისთვის მოვამზადოთ ახალი კვლევები და დამხმარე სასწავლო რესურსები;
- ხელი შევუწყოთ ინფორმაციის სანდოობის გაზრდას და ინფორმირებული მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას დემოკრატიის პროცესში.

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE




WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE